წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N3
31 იანვარი 2024 წ.

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N28 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 30/08/2023 წ, სარეგ.კოდი 190040000.35.104.016530) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის:

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ასანაზღაურებელი ხარჯების ზღვრული ოდენობა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის უფლებამოსილების განხორციელებისათვის დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.“.

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფრაქციის თითოეულ წევრს, ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი, არაუმეტეს 300 ლარისა, რომლის თაობაზე ფორმას დანართი №3-ის შესაბამისად, წარმოადგენს შესაბამისი ფრაქციის თავმჯდომარე;“;

ბ.ბ) „ბ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" ბ[1]) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის, მოსახლეობასთან შეხვედრისა და სხვა აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები არაუმეტეს 300 ლარისა (ფორმა №5);".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კორნელი სალია